შინაური საქმეები.

ყოველ კვირეული გაზეთი.

№ 23.

ფასი ორი შაური

წლიური ფასი 5 მან.
წლის დამლევამდე
1 მ. 70 კ.

წელიწადი მეშვიდე.

კვირა, 13 დეკემბერი 1915 წ.

მომავალი 1916 წლის პირველ იანვრიდან

ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ რ ი ვ - ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი   გ ა ზ ე თ ი

შინაური

საქმეები

გამოვა ჩვეულებრივი ფორმატის 16 გვერდიანი.

წლიურათ ეღირება **5** მანეთი, ნახევარი წლით **3** მანეთი.

წლიურ ხელის მომწერთ შეუძლიათ დაკვეთის დროს სამი მანეთი გამოგზავნონ ხოლო დანარჩენი მაისის დამლევს. დაკვეთა შეიძლება მხოლოდ რედაქციიდან ქუთაისში. უმორჩილესად ვსთხოვთ ადგილობრივ და თბილისის ყველა რედაქციებს ეს ჩვენი განცხადება დროგამოშვებ სამჯერ დაგვიბეჭდონ და გამოცემები შეგვიცვალონ, რისთვისაც ჩვენც მზათა ვართ მათვე გადაუხადოთ.

გაზეთის დაკვეთა დღეიდანვე შეიძლება. მისამართი: „შინაური საქმეების“ რედაქცია. ქუთაისში.

რედ. მღვდ. **ს. მჭედლიძე**

+ საპატრიარქოს +

ᲡᲐᲛᲚᲕᲓᲔᲚᲝᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘ.

ბ-ნ. კ. ფოცხვერაშვილის სასულიერო კონცერტის გამო.

ძალიან ვწუხვარ, რომ ბ-ნი კ. ფოცხვერაშვილის იშვიათ სასულიერო კონცერტს ვერ დავესწარი. ცხოვრების დუხჭირმა პირობებმა და ჩვენმა სასულიერო ცხოვრებამ უმფროსმა მეურნემ იძულებული გამხადეს ისეთ ადგილს გადავხვეწილიყავ, საიდგანაც მეტათ ძნელია საზოგადო მაჯისცემის თვალყურის დევნება. მე პირადად ჩემთვის არ ვწუხვარ, პირადი ჩემი სიამოვნებისათვის არ ვსტირი. ჩემს საკუთარ თავზე და ცხოვრებაზე ბევრ ძალიან მრისხანე ქარიშხალს გადაუვლია, მაგრამ მათთვის წარბიც არ შემიხრია. თუმცა წოდებით მღვდელი ვარ, მაგრამ არავითარ პატიოსან შრომას არ ვერიდები. ქვას რომ ვკოდდე, გზას რომ ვფენდე, მაინც კი ღრმად დარწმუნებული ვიქნები, რომ მე ჩემს საქმეს ვაკეთებ და ისეთი ერთგულებით მოვკიდებ მათ ხელს, როგორითაც ყველა ჩემთვის მისაწთომ ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეს. დღეს, ორმოცდა ათი წლის თავზე, სოფლის მასწავლებლობა მარგუნა განგებამ და ამ ხვედრს, შეიძლება უკანასკნელსაც, ისეთივე ახალგაზდური სიფხიზლით და სიყვარულით ვკიდივარ, როგორც მოვეკიდებოდი ამ სიბერის დღეს ჩვენი სასულიერო ლიტერატურის აღორძინების საქმეს, რომ ჩემი ცხოვრების პირობებს ხელი შეეწყო და დახმარების მაგიერათ გზაზე არვინ გადამღობებოდა. მე ყველგან შემიძლია სიამოვნება ვპოვო იმ შრომაში, რომელსაც მომისჯის ღმერთი, როგორც ერთ უმცირეს სავენახის მუშაკთაგანს და არც მაინცდამაინც სასყიდელზე ვიტყვი რამეს, თუ კი მე, დილიდგან ადრე დამაშვრალს, მეთერთმეტე ჟამზე მოსულ მუშაკთან გამასწორებენ.

მე არ ვსწუხვარ ჩემი პირადი სიამოვნებისათვის მეთქი, ვიმეორებ, და არ შევნატრი მათ, ვინც პირად სიამოვნებას მოკლებული არ არიან. მე ყველა ბედნიერთათვის, თუ კი ვინმე ასეთი მოიძებნება ჩვენში, გულით მსურს უთხრა: „ღმერთი შეგეწიოს, ღმერთმა ხელი მოგიმართოსთქო". მე მხოლოდ იმას ვწუხვარ, რომ ჩვენ საზოგადოებრივ მაჯისცემის კენტროში ისეთი სასულიერო პირი არა გვყავს, რომელიც დაინტერესებული იყოს ამ მაჯისცემით და შესაფერ განათებას და გაშუქებას აძლევდეს ყველა საზოგადო მოვლენას. ჩვენ ვერ ვხედავთ ისეთ პირს, რომელსაც გული შესტკიოდეს ჩვენ სასულიერო საქმეებისათვის, ჩვენი ეკლესიის სვე-ბედისათვის, ჩვენი სასულიეროების გამოფხიზლობისა და განვითარებისათვის, ან მათი მოვლისა და პატრონობისათვის.

ცოტა ხნის წინეთ ქუთაისს მათი იმპერატორებითი უმაღლესობა ესტუმრა. რით გამოიყენეს ეს იშვიათი შემთხვევა ჩვენმა ქუთაისის სასულიერობამ მათი ბლაგოჩინ-ეპისკოპოსით სათავეში? რა მოახსენეს მის უმაღლესობას ეკლესიის და საზოგადოდ მართლმადიდებელ სარწმუნოების მდგომარეობაზე ჩვენში? რა სურვილები გამოსთქვეს მის წინაშე ამ ფრიად მნიშვნელოვან საგნებზე?

რით დააფიქრეს იგი ჩვენ ეკლესიურ-სარწმუნოებრივ მდგომარეობაზე?

ახლახან ექზარხოსი პიტირიმი გაემგზავრა პეტროგრადს, როგორც სწერდენ, საქართველოს საეკლესიო საქმეების გამო. რა გაატანეს მის მეუფებას? რა დააბარეს სათქმელად და საშუამდგომლოდ უწ. სინოდში? რა პროექტებით ავუვსეს მას უბე-ჯიბეები? რა გადაჭრილი მოთხოვნა წარუდგინეს? რა ჰქნა ქუთაისის სამღვდელოებამ თავის ბლალოჩინ-ეპისკოპოსით? როგორ შეხვდა ამ იშვიათ შემთხვევას?

ახლა, როცა იშვიათი ექსარხოსი, გულით და სულით მომხრე და მოყვარული საქართველოს ეკლესიისა, რომელსაც „სწამს ძისი უკეთესი მომავალი" სათავეში ჩაუდგა რუსეთის უმაღლეს საეკლესიო მართველობას და, მაშასადამე, საქართველოსასაც, რას შვრებბა, როგორ უნდა რო შეხვდეს ქუთაისის სამღვდელოება ამ ფრიად იშვიათ და ცოტად თუ ბევრად ხელსაყრელ შემთხვევას? უფიქრია ან ფიქრობს რამეს იგი ამაზე თავის ბლალოჩინ-ეპისკოპოზით სათავეში?

გუშინწინ ბ. კოტე ფოცხვერაშვილის სასულიერო კონცერტი დაიდგა, რომელმაც, როგორც სჩანს, დიდი და არა ჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. როგორ შეხვდა ამ იშვიათ შემთხვევას ჩვენი ქუთათური სამღვდელოება თავის ბლალოჩინ-ეპისკოპოზით სათავეში? რით აღნიშნა ეს ჩვენ ცხოვრებაში არა ჩვეულებრივი მოვლენა? რა დაფასება, რა გაშუქება მისცა მას? რა ზნეობრივი, ეროვნული ესტეტიური სიამოვნება იგრძნო ან აგრძნობინა სამღვდელოებამ საზოგადოებას? რა ნაირათ გამოიყენა მან თავისთვის ეს შემთხვევა? დაკმაყოფილდა იგი ამ ერთი შემთხვევითი კონცერტით, თუ ფიქრობს რომ კვლავ ასეთი კონცერტი ყოველკვირა უქმე დღეს მოისმინოს საზოგადოებამ, ყველა ეკლესიებში თუ არა, ქუთაისის საკათედრო ტაძარში მაინც? საზოგადოთ, რა ჩააგონა, რაზე დააფიქრა ეს იმერეთის მოწინავე სამღვდელოება ბ-ნი. კ. ფოცხვერაშვილის კონცერტმა? ნუთუ წამითი სიამოვნება განიცადეს ამ წმ. მამებმა და ამით დაკმაყოფილდენ? ნუთუ არ შეტოკდა, არ შეინძრა მათი ჩრდილოეთის სუსხით გარინდული გული? ნუთუ არ აღიძრა სამოღვაწეოდ მათი უმოქმედობისაგან დაზანტებული ხორცი? და თუ კი, მაშ სად არის ხმა, სად არის გამოძახილი, სად არის მოწოდება, ყივილი? რათ ერთი მათგანი მაინც ხმას არ იღებს? რათ ბლალოჩინი ზოგებს არ ხმარობს დროზე ისარგებლოს კონცერტის გავლენით? ნუთუ მარტო დასაბეზღებელ რაპორტების წერა კმარა, ვინ სად დაქორწინდა, ან ვინ ვის გვირგვინი უკურთხა და სხვა ამფერი? ესე „ჯერ იყო აღსრულებად, ხოლო იგი (უმთავრესი) არა და ვიწყებად", და „წარვედით და ისწავეთ, რაი არს: წყალობა მნებავს და არა მსხვერპლი".

იქნებ ქუთაისის მოწინავე (?) სამღვდელოებამ ტაშის ცემით და ვაშათი დააჯილდოვა ბ. კომპოზიტორი და ამით ათავებს საქმეს? მაგრამ დავარწმუნებთ ხსენებულ სამღვდელოებას ბ. კოტე ფოცხვერაშვილი ამისთვის არ გაირჯე-

ბოდა. ქუთაისის საზოგადოების და სამღვდელოების ტაშის ცემა მას არ გააკვირვებდა შემდეგ იმ მოწონებისა ჭ აღფრთოვანებისა, რომელიც გამოიწვია ხსენებულმა კონცერტმა პეტროგრადის სცენაზე რუსეთის და საზღვარგარეთის გამოჩენილ მეცნიერთა და ხელოვანთა წინაშე 1914 წლის 16 აპრილს. გარდა ამისა თვით ბ. კომპოზიტორი საკმაოდ დარწმუნებულია თავის მომზადებულობაში დასახულ მიზნისათვის და მაშასადამე კმაყოფილიც არის თავისთავისა ამიტომ მას არ ეჭირვება სხვათა მოწონება და არც არაფერს მოუმატებს იგი ისეთი კაცის ენერგიას, რომელიც უმისოდაც ვერ პოულობს თავის მოქმედების საკმაო სარბიელს, უმისოდაც შებოჭილია ჩვენი ცხოვრების დუხჭირ პირობებით და საშვალება არ აქვს გაშალოს იგი, დახარჯოს მომეტებული ნაწილი ამ ენერგიისა, რომ იგი მორალურ ტანჯვად, მორალურ ჭლექად არ გარდაექცეს და არ შეჭამოს მისი სულიერი არსება. ცოტაა ტაში და ვაშა, ცოტაა საზოგადოების წუთიერი აღტაცება და მოწონება იმ კაცისათვის, რომელმაც ყოველივე დასთმო ხელოვნებისათვის, ყოველივე პირადი ბედნიერება შესწირა საყვარელ საგანს. კოტე ფოცხვერაშვილი ჯერ კიდევ ჩვენში უმაგალითო გზას დაადგა, უმაგალითო საგანი დაისახა ცხოვრების მიზნად—მუსიკა საზოგადოდ და ქართული მუსიკა კერძოთ. მას შეეძლო ყოფილიყო მასწავლებელიც და ჩინოვნიკიც, ისეთი პროფესიონალური ჩინოვნიკი და მასწავლებელი, რომლებსაც ბევრს იძლევა დღევანდელი ჩვენი რუსული, თუ ქართული, შკოლა. ამისთვის მას ჯანიც შესწევდა და განათლებაც. მაგრამ, როგორც ვხედავთ, მან უარყო ერთიც და მეორეც, მან უარყო გაკაფული გზა ამ ხელობათადმი და დაადგა ხელოვნების ეკლიან და ჯერ კიდევ უდაბურ გზას. მან ალიღო აუღო ჩვენ ახლად დაწყებულ საზოგადოებრივ ცხოვრებას, მიხვდა მის აუცილებელ საჭიროებას და მთელი არსებით, მთელი თავის ყმაწვილური ენერგიით და გატაცებით შესტოპა ამ საჭიროებათა მორევში და დღეს სურს მისი ასე თუ ისე ამოშრობა, ამოწურვა. აი, აქ, ამ მორევის ამოშრობაში, სჭირია მას დახმარება და მისი კონცერტიც ამის წინამორბედია, ამის მთხოვნელია და არა წუთიერი სიამოვნებისა. და, თუ ჩვენ თვითმდგომარეობის უნარი გვაქვს და რამე სიამოვნებას ვაფასებთ ცხოვრებაში, უნდა ვეცადოთ ასეთი სიამოვნების გამრავლებას და მის სანიადაგოდ და საყოველთაოდ გადაქცევას.

იმერეთის სამღვდელოებას არასოდეს უარი არ უთქვამს საზოგადო საჭიროებაზე. იგი ყოველთვის მზათ იყო თავის წვლილი შეეტანა ყოველ საზოგადო საჭიროების დასაკმაყოფილებლად. კერძოთ ქართულ გალობის შენახვაშიაც დიდი ღვაწლი მიუძღვის მას. უეჭველია დღესაც არ დაერიდება ამ საქმეს, თუ ვინმე მთქმელი და მჩვენებელი გაუჩნდა. ამიტომ საჭიროა დაუყონებლივ იქმნეს სამღვდელოების კრება მოწვეული, ეთხოვოს ბ. კ. ფოცხვერაშვილს ამ კრებისთვის კიდევ ერთხელ საგანგებოდ გაიმეოროს თავის კონცერტი; შემდეგ წინადადება მიეცეს კრებას ისარგებლოს იშვიათი

შემთხვევით და გამონახოს სახსარი ბ. კომპოზიტორის დასახმარებლად, თუ უკანასკნელი ინებებს თავის შრომის განგრძნობას ქართული საეკლესიო გალობის აღსადგენად და დასამუშაველად, ან ოთხმაზე მოსაწყობად თანახმად თანამედროვე მუსიკალურ მოთხოვნილებისა აი სწორეთ ეს იქნება უდიდესი მადლობა, უდიდესი ტაში და ვაშა, მირთმეული კომპოზიტორისადმი სამღვდელოებისაგან, რასაც, იმედი გვაქვს იგი სიამოვნებით და მადლობით მიიღებს.

რედ. მღვდელი სიმონ მჯედლიძე.

ბატ. კოტე ფოცხვერაშვილის სასულიერო კონცერტის გამო.

გაზ. „მეგობარს“ მოჰყავს პეტროგრადის გაზეთების აზრი იმ სასულიერო კონკერტის შესახებ რომელიც მას გაუმართავს პეტროგრადს 1916 წ. 16 მარტს.

გაზ. „რეჩი“ 18 მარტი 1914 წ.

„... ქართული საეკლესიო მუსიკა ძლიერ ძველი დროისაა, რადგანაც საქართველომ ქრისტიანობა მიიღო მე IV საუკუნეში ბერძნებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ ბერძენ მღვდელ-მსახურებმა თან მოიტანეს ბერძნული საღვთისმსახურო საგალობლები, საქართველოში შედარებით მალე შეიცვალა იგი ეროვნულ ნიადაგზე. რადგანაც საეკლესიო საგალობლები ყველგან უკეთ ინახებოდა ვიდრე საერო ხალხური, ამიტომ ქართული საეკლესიო საგალობლებიც უფრო წმინდათაა დაცული. ამ მხრით ქართული საეკლესიო საგალობლები დიდ ინტერესს იწვევს არამც თუ მხოლოდ ეთნოგრაფიულის, არამედ წმინდა მხატვრულის მხრითაც, რადგან ქართველები ძლიერ მუსიკალური ხალხია, რომელსაც აქვს ბუნებრივი მუსიკალური გემოვნება“...

გაზ. „დენი“ 18 მარტი 1914 წ.

„... საღამო ძლიერ საინტერესო იყო სხვადასხვა თვალსაზრისით. მსმენელთა წინაშე გაიარა დიდებულმა საეკლესიო საგალობლებმა, ძლიერ ორიგინალური ჰარმონიული კონსტრუქციისამ. განსაკუთრებით საინტერესო იყო ის ნუმრები, რომელიც უცველად წარმოუდგენდა ნამდვილად ჩაწერილ ქართულ სახალხო საგალობლებს... შეუძლებელი იყო ტაში არ დაგვეკრა, თუმცა საეკლესიო საგალობლების შესრულებას შემდეგ ტაში აკრძალული იყო... ქართული საეკლესიო საგალობლების საღამო ამასთანავე იყო კულტურულ ეროვნული პროპაგანდის იარაღიც, მცოდნე პირები ირწმუნებოდენ, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის გადაწყვეტის დროს თუ რა დიდ მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ის გარემოება, რომ საქართველოს ეკლესიას აქვს საკუთარი თავისებური რელიგიური მუსიკალური კულტურა“

გაზ. „ბირჟევია ვედომოსტი“.

„... საღამო მხატვრული და სამეცნიერო თვალსაზრისით ბევრის მთქმელი იყო. ქართულ საეკლესიო საგალობლებზე დიდი გავლენა მოუხდენია ქართულ ხალხურ სიმღერებს“...

ყველაზე საყურადღებოა გამოჩენილი კრიტიკოსის ნ. ბერნშტეინის რეცენზია, დაბეჭდილი „პეტროგრადის ვედომოსტებში“ 19 მარტი, 1914 წ.

„... ნამდვილი ქართული ხალხური შემოქმედების ჰარმონიული განსაკუთრებული თვისებანი ძლიერ საყურადღებოა. ევროპიელების ყური სრულებით არაა შეჩვეული ასეთ საოცარ თავისებურ კომბინაციებს.

ძლიერ საყურადღებოა „წმიდაო ღმერთო“ იმერულ-გურული კილოსი, ჩაწერილი კ. ფოცხვერაშვილის მიერ. ძლიერ საინტერესოა მისივე ალიო“...

„ყოველ შემთხვევაში ეს ძველებური საგალობლები მოწმობენ თავისებურ ხმების კულტურას იმ საქართველოში, რომელიც საერთოდ მდიდრად და გულუხვადაა დაჯილდოვებული ბუნების მხრით“...

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ.

მეგობარში ბ. კ-ა სწერს.

„ჩვენ ყურადღებას იპყრობს ის, რომ რუსეთის ეკლესიის იერარქიის უმაღლეს საფეხურზე დანიშნული იქმნა ქართული ეკლესიის მოყვარული და თანამგრძნობელი არქიელი და მაშასადამე ქართველობას შეუძლია ეს დანიშნულება გამოიყენოს თავისდასასარგებლოდ.

უმაღლესს სამღვდელოებაში ექსარხოსი პიტირიმი ვერ პოულობდა სათანადო მხარის დაჭერას. პირიქით, რაღაც უცნაურის ეჭვის თვალით უყურებდენ მას და რაღაც წვრილმანი ანგარიშებით ხელმძღვანელობდენ მასთან დამოკიდებულებაში. ჩვენი ეკლესიის დარაჯებმა ექსარხოსის პიტირიმის კეთილგანწყობილება ვერ გამოიყენეს ჯეროვნად. დღეს კი მაინც ეს გაბუტვის პოლიტიკა უნდა უკუგდებულ იქნეს და ნათლად, გარკვეულად სრულის პირდაპირობით იქნეს წამოყენებული საქართველოს ეკლესიის საჭიროება და ამ შემთხვევაში შეუძლია მიტროპოლიტ პიტირიმს კიდევ ერთხელ და უფრო ძლიერად დაამტკიცოს მისი სიყვარული ივერიის დაქვრივებული ეკლესიისადმი. ჩვენ, რასაკვირველია, იმ უტოპისტებს არ ვეკუთვნით, რომელთაც სწამთ, რომ არსებული სისტემის შეცვლა რომელიმე კერძო პირადობას შეეძლოს, რაც უნდა ძლიერი და დიდი პირადობა იყოს იგი, მაგრამ ჩვენის ეკლესიის ბედისა და ილბლის მესვეურთათვის მომაკვდინებელი ცოდვა იქნებოდა, რომ არ ესარგებლებიათ დღევანდელი მოვლენით და მიტროპოლიტის პიტირიმის კეთილგანწყობილებით, უნდა აღძრულ იქნეს ადგილობრივ უმაღლესს მთავრობასთან, რომ ახლავე შეუდგნენ საქართველოს საეკლესიო სიკეთის რადიკალურად გადაწყვეტას, ხოლო დროებით კი საქართველოს საეკსარხოსო კათედრა მიეცეს ქართველ ეპისკოპოსს ან კირიონს, ან ლეონიდს. მათი ღვაწლი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში სრულიად ცნობილია და დასაფასებელი, მათი მტკიცე და ენერგიული მოღვაწეობა ამ სფეროში ყველასათვის უეჭველია.

გვეყოფა იმის ლაპარაკი, რომ ჩვენ ყურმოჭრილი ყმები ვართ, მზად ვართ სიცოცხლე განვიწიროთ და არავის კი არაფერს არა ვსთხოვთ. თვით ყურმოჭრილი მონაც იბრძვის ერთგვარი სიცოცხლის შენარჩუნებისათვის, ერთგვარი ცხოვრების კომფორტისათვის. ქართველები ერთად ერთი ხალხია რუსეთში, რომელსაც ეკლესიის თვითმართველობის უფლება აყარეს. რისთვის? რატომ? თუ სადმეა ეროვნების უფლებათა გათანასწორება, ამ სფეროში ყველაზე უწინ უნდა იყოს, იმიტომ რომ სარწმუნოებრივი სინიდისის საქმე ყველაზე უფრო ყურადღებას უნდა იპყრობდეს თვით ავტოკრატიულ სახელმწიფოში.

წასვლის დროს მიტროპოლიტმა უთხრა ქართულ სამწყსოს წარმომადგენელთ: ენერგიული დაუღალავი შრომა და ღვაწლი თქვენ იდეალს მიგახწევინებთო. მაშ გავიხსენოთ ეს სიტყვები კეთილი მოძღვრისა და ვაჩვენოთ მას რომ ქართველები თავისს საეკლესიო წყეულ კითხვას შესაფერისი ხალხითა და ენერგიით ეპყრობიან“ კ—ა.

ჩვენ კი უფრო ის გვაინტერესებს, რომ ქართულმა პრესამ და, მაშასადამე საერო საზოგადოებამ, ხმა ამოიღო ჩვენი ეკლესიის საქმეებზე და თავის საქმედ გაიხადა იგი. ასეთი შემობრუნება დიდი ხნიდან გაბუტული პრესისა იმის თავდებია, რომ ჩვენი საეკლესიო საქმეები, ოღონ არ იყოს ერთი ნომრით მაინც აიწევენ. აქნამდის იმას გვიკვირებდენ უმაღლეს სფეროებიდან, რომ ეკლესიურ ავტოკეფალობის მოთხოვნა მართლოდან საძღვდელოების ოცნება არის და არა ხალხის მოთხოვნილებაო. ეხლა მათაც ხმა უნდა გაიკმიდონ და დაიჯერონ, რომ ეს ასე არ არის. რაც შეეხება აქ გამოთქმულ აზრს ჩვენ სრული თანახმა ვართ ავტორისა იმ გამარტებით, რომ თაოსნობა ამ საქმეში უნდა იკისრონ ქართლ-კახეთისა და ქუთაისის თავადაზნაურთა წარმომადგენელმა წინამძღოლებმა. მათი მოვალეობაა სხვათა შორის, გამოაფხიზლონ და აღძრონ სამოქმედოთ ისეთი ეპისკოპოზები, რომლებიც თავის პირად

ცხოვრებაში წასულან და თავის ტყავში იკრუნჩხებიან. დღეს ქვეყანას მოქმედი ეპირვება, მოქმედი გაბედული თავდადებული და ვინც ამ პირობას ვერ აკმაყოფილებს, უნჯობესია ჩამოდგეს, რომ გზა მისცეს ნამდვილ მუშაკებს თავდადებულებს. ვიმეორებთ, ასეთი გამოფხიზლება უზრუნველ ცხოვრებაში წასულ მოძღვრისა შეუძლიათ და კიდეც უნდა იკისრონ წინამძღოლებმა.

რაც შეეხება დაბალ სამღვდელოებას, რაკი საერო წოდებას უკვე გვერდით ხედავს, იმედი გვაქვს და დარწმუნებულიცა ვართ, რომ თავის შრომას სამშობლო მხარისა და ეკლესიის სასარგებლოდ გაათრკეცებს და არაფერ სხვერპლს არ დაერიდება მიზნის მისაღწევად.

ქართული ტიბიკონი*)

V. საქართველოს ხანგრძლივი ოოხრების მიუხედავათ, კიდევ შეგვიძლია საკმარისათ გამოვიკვლიოთ და დავამტკიცოთ რომ, უძველეს დროიდანვე სალვთო წიგნები არსებობდენ ჩვენს ენაზედ. ესენი უტყუარნი ფაქტნი არიან ქართულ წესის არსებობისა. ამათ ჩვენებიდგანვე შეგვიძლია გავკიცხოთ და ჩვენის ისტორიის მტრათ ჩავთვალოთ ყველა იგინი, რომელნიც აღმოსავლეთში თუ ევროპაში, გაიძახიან, ქართული ანბანი, ქართული სალმთო წესი და წიგნები სომხურიდან არიან გადაღებულნიო და ისიც სულ გვიან.

პირველი ხელნაწერი, რომელსაც ჩვენ საბუთად ვხმარობთ არის „საქმე მოციქულთა“ (Acta Apostolorum). ეს ეკუთვნის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, გარდაწერილია IX საუკუნეში. ამას აქვს ერთი ზედ წარწერა, რომელიც იუწყება, რომ იგი დათარგმნილი იქმნა იმპერატორ არკადის მეფობის მესამე წელს (395-408) და ონორიუმის მეობეში (395-423), ესე იგი 397 წლიდან 398 წლამდის (Cam. F. f. d., 250).

სახარებაც გვქონდა დათარგმნილი. ეს იქიდან სჩანს რომ ფარსმან მეფემ (542-557) ერთი სახარება უძღვნა წმიდა შიოს მონასტრის ბერს ევაგრის, რომელი სახარება ფრიად კეთილად იყო შეკერილი და ნაკუთვნი ვახტანგ-მეფისა. ამაზედ ჩვენი ისტორია გვაუწყებს რომ, არჩილ I მეფემ (410-434) თავის მემკვიდრე შვილის მეუღლისთვის დაათარგმინა და მას შესთავაზა რათა გაეგო ჩვენი რჯული და ეწამა იგი, რადგან წარმართი იყო, სპარსეთის მეფის ქალი. (სამოთხე გვ., 40).

თუ კერძო პირებისთვის ჰგიებდა ამისთანა წიგნები, ეჭვ გარეშეა რომ სასულიერო წოდებაში, სალვთო წესის ასასრულებლად უფრო მეტი მოიპოვებოდა. ამათ გარდა ჩვენ კიდევ სხვა სახარებები და წიგნები გვაქვს.

1.) სახარება ქსნისა ჯერეთ არ არის საფუძვლიანათ გამოკვლეული, მაგრამ ერთი ზედ წარწერის მიხედვით საკმარისათ ძველია. ქვეყნის გაჩენის წელიწადი 6110-ი უწერია, რომელიც ჩვენი სათვალავით 506 წელიწადი მოვა.

2.) ოთხივე სახარებები ურბნისისა, VII-ს. ეკუთვნიან.

3.) სადღესასწაულონი, ფსალმუნი, სვინაქსარნი ეკუთვნიან VII საუკუნეს. (Tam. p. 328).

4.) ივირონის სახარება 913 წელს.

5.) მთელი სალმთო წერილი ხელ ახლავ დაითარგმნა, შესწორდა და გადიწერა 978 წ. ათონის ივირონის მონასტერში.

6.) წირვა წმიდა იაკობისი IX საუკუნისა.

7.) ჯრუჭის ოთხივე სახარება გადაწერილი 936 წელს. მაშ უფრო ძველი უნდა იყოს.

8.) პარკალის სახარება გადიწერა 976 წელს.

9.) ტბეთისა გადაიწერა 995 წელს. სახარებაა.

10.) სინაის მთაზედ საპსალმუნე დაითარგმნა ან VII, ან VIII საუკუნეში.

11.) წირვის წიგნი (Ordo Wissoe) რომელიც ტიშენდორფმა იპოვა, სხვა ხელ ნაწერიდან არის გადაწერილი 941.

ამდენ საბუთების შემდეგ შეიძლება კიდევ ეჭვი ჰგიებდეს ქართული წესის კანონიერ არსებობაზედ, როგორც მართლმადიდებელთათვის, აგრეთვე კათოლიკებისთვის? ქართველი კათოლიკები მარადის იყვნენ, რაზედაც, იმედი მაქვს, სხვა დროს ცოტა რამ ვსთქვა; მაშ რისთვის მათ არ ექნებათ თავიანთი წესი?...

ზემოთ მოყვანილ თარგმანთა არ ჰქონდათ კერძო ხასიათი; რომ მათი დანიშნულე-

*) იხ. „შინაური საქმეები“ № 19.

ბა უფრო ფართო იყო და ოფიციალური, ეს სხვათა შორის სჩანს წმიდა ევთიმეს და გიორგის ცხოვრებიდანაც, რომელი გაწყოფის უწინარეს აღიწერა სამოთხეში (გვე. 464-463) ნათქვამია, რომ ამ თარგმანთა გაანათლეს ეკლესიანი, რომ რასაც თარგმნიდიან. ეკლესიებში სახმარებლად დასდებდიან. (სამოთხე, გვე. 471).

რისთვის ათინის წმიდა მამებმა საღმთო ლიტურღიის წიგნები ხელ ახლავ დასთარგმნეს? ამის მიზეზს თვითვე გვაუწყებენ. თუმც ძველათგან, ამბობენ, ივერიის ეკლესიას ჰქონდა თარგანები, რომელნიც ეკლესიებში იხმარებოდნენ, რადგანაც დროთა განმავლობაში გადაწერ-გადმოწერით დღემდის უმწიკლონი ვერ დარჩენენო, ამისთვის ახალი თარგმანი საჭირო ხდებოდა, რათა პირველნი, რომელთ მოკრება და შესწორება შეუძლებელ იყო, ერთობ ამოვარდნილ იყვნენ.

დასასრულ მოვიყვანთ კიდევ შემდეგსაც, რომლის მიხედვით ყოველი მიუდგომელი მსაჯული გარდამწყვეტელ და დამამტკიცებელ ძალათ აღიარებს. თბილისის საეკლესიო მუზეუმში მოიპოება შესანიშნავი ხელ ნაწერი მეცხრე საუკუნისა № 86, რომელშიც მოთავსებულია „ჯამის წირვანი და კურთხევანი ღვდლისა, ეპისკოპოზისა და კათოლიკოზისა. ამის დამწერი შენიშნავს მე-167 გ.: „მე ქრისტეს მიერ სვიმონ, ქართლისა „კათალიკოზმან, დავწერენ წმიდანი ესე ჯამისა წირვანი სამღვდელ—„მოძღვროდ საწირავად.“ ეს დოკუმენტი თავით თვისით საკმარისია. რა საკვირველია, ამისთანა წიგნი პირველი არ იყო.

შიო მღვიმელმა საგალობლები შესთხზნა, ქართულათ რასაკვირველია, და მიერ ჟითგან შიო მღვიმის ბერნი ამ საგალობლებს საეკლესიო გალობებთან ერთად ამბობდენ, როგორც მოწმობს ძველი მწერალი სამოთხისა გვე. 252. როდი შეეძლოთ ზოგი ლოცვა ბერძნულათ ეთქვათ და ზოგიც ქართულათ. ვსთქვათ განყოფამდე სულ ბერძნულათ ასრულებდენ, თუნდ ზოგიერთ აზრით ეს განყოფა IX საუკუნეში მომხდარ იყოს, როგორ წარმოვიდგინოთ რომ ბერძნულ ენის დამამტკიცებელ საბუთებთაგანმა ვერც ერთმა ვერ მოაწიეს? იქნება რადგან ქართულის შემოღებით ისინი ერთობ მოისპენ? ეს შეუძლებელია ვინაიდგან რაც ივერიის მონასტერი ქართველებმა აღაშენეს (მე IX საუკ.) ათონის მთაზედ იმ დროიდან, ძალიან ბევრ ქართველმა იცოდა ბერძნული, გაცილებით უფრო მეტმა ვიდრე ძველათ; ესენი მოწიწებით შეინახავდნენ ორიგინალურ საღმთო წერილს. მეორე მხრივ ჩვენ ვიცით თუ ქართველებში როგორ მოეფინა სომხური წესი. როგორც ქართველი გრიგორიანები იმყოფებიან, კათოლიკებიც დროთა განმავლობის გამო, დაეწესენ სომხურ ტიპიკონს, ზოგნი ადრე, ზოგნიც გვიან როგორც ვიცით ისტორიიდან და განსაკუთრებით თამარაშვილის წიგნით: პასუხათ სომხების მწერლებს.

მაშ მეტი რომ არ გავაგრძელოთ გამოვიღებთ რავდენიმე დასკვნას:

1) კათოლიკე ქართველები უდიდეს განსაცდელში არიან, რადგან მათ არავინ ფარველობს. სომხურ წესს ხმარობენ მათის გადაგვარებისათვის. ქართველ საზოგადოებამ იზრუნოს ჩვენი წესის აღდგენისათვის.

2) რომ ამ გადაგვარებას არ აცდეს ჩვენი ხალხი, მტრები ათას ჭორებით მოსავენ ჩვენს ისტორიას და საღმთო წესს. აქ დავანახე მკითხველს, რომ ჩვენი ეკლესია ნაციონალური და თავისუფალი იყო 471 წლიდამ. ამასთან ჩვენი ლიტურღია ჩვენის ენით იყო ხმარებული ამავე წლიდამ მთელ ქართველ ერში. ამისთვის ქართველ კათოლიკებს აქვს იურიდიული და ისტორიული უფლება დაუყოვნებლივ დაუბრუნდნენ თავიანთ წესს, თავიანთ ენას. ამაზედ მოუწოდ ქართველ საზოგადოებას, რათა ჟურნალ გაზეთებით შეიტანონ შეგნება ახალციხის მაზრაში.

შალვა—Lucifer.

რედაქტორი მღვდელი ს. ᲨᲕᲔᲓᲚᲘᲫᲔ.
გამომცემელი Ი. ᲚᲔᲥᲐᲕᲐ.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან. სტამბა „ᲫᲛᲝᲑᲐ“ ქარვასლ. ქ. სახ. ჩარექოვისა